STAGES OF POLARIZATION OF PUBLIC OPINION AT THE TURN OF THE CENTURY (1988-1992)

In the digital age, historical truth should be sought not only in the pages, but also in the footage

საზოგადოებრივი აზრის პოლარიზების ეტაპები ეპოქათა გასაყარზე (1988- 1992)

ციფრულ ეპოქაში ისტორიული სიმართლე არა მხოლოდ ფურცლებში, არამედ კადრებშიც უნდა ვეძებოთ.

Maya (Tatia) Pachkoria
journalist,
Affiliated Professor of Grigol Robakidze University,
Head of the multimedia center.
Tbilisi, Georgia
(+995)577458180; Pachkoria.tatia73@gmail.com

Abstract

"Every time has a headache, and the true master of history, like a judge, must first sit in the crust of the times and then judge the children of the times themselves" (Ilia Chavchavadze). I needed this preamble in order to remind the reader once again that the head and head of the nation's misfortune is cursing the predecessors and exaggerating their merits, which is a very "familiar and familiar" trend in our political thinking. I was convinced that this is indeed the case while working in active journalism, while working on chronicles of recent history. All interviews, archival materials, and narratives of people participating in the processes are gathered at the link indicated at the beginning of the article. In the paper, we will present the used fragments with time codes.

It is interesting how and why the terms: traitor, agent, enemy of the nation appeared in the Georgian political thinking of the 90s, and what results did the labels bring to the political forces fighting for the country's independence. Answers to these questions should be sought not only in scientific publications, but also in video archives. Amazing facts are kept by our electronic history, which has provided us with unmistakable factual material of the processes going on at the turn of the ages. I, a journalist, while working on "Chronicles of Recent History" at the public broadcaster in 2010-12, had the opportunity to familiarize myself with the unique archival material, which provides comprehensive information about the social and political processes of the 80s and 90s of the 20th century. Working on the interviews of the people who participated in these battles and getting to know the works of such historians as: Mariam Lortkifanidze, Vakhtang Guruli, Dimitri Shvelidze, Guram Koranashvili, Igor Kveselava and others, made me decide to continue working as a historian and researcher and solve the political polarizations and the never-ending problems in our country. The secret of revolutionary euphoria.

The purpose of the article is not to accuse anyone or make him a hero, the purpose of the work is to change the black-terri way of thinking in this country once and for all, the struggle between "heroes and traitors".

In the conditions of walking in the same circle for 30 years, we should often look at our own actions from the side and at least analyze the mistakes from a distance. This is the essence of knowledge of history. Knowing the facts brings the ability to analyze, which eliminates the radicalism and emotional exaltation that are so entrenched in our reality.

Keywords: National-political camp, Soviet government, radicalism, slogans, scientific elite

მაია(თათია) პაჭკორია
ჟურნალისტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის პროფესორი, მულტიმედიაცენტრის ხელმძღვანელი
საქართველო, თბილისი
(+995)577458180; Pachkoria.tatia73@gmail.com

აბსტრაქტი

„ყველა დროს თავის ტკივილი აქვს და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა განმკითხველი, ჯერ იმის დროების ქერქში უნა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა" (ილია ჭავჭავაძე). ეს პრეამბულა იმისთვის დამჭირდა, კიდევ ერთხელ შევახსენო მკითხველს, რომ ერის უბედურების თავი და თავი წინამორბედთა ლანძღვა-გინება და მათი ღვაწლის გაბითურებაა, რაც ძალიან „ნაცნობი და ახლობელი" ტენდენციაა ჩვენს პოლიტიკურ აზროვნებაში. ეს რომ მართლაც ასეა აქტიურ ჟურნალისტიკაში ყოფნისას, უახლესი ისტორიის ქრონიკებზე მუშაობის დროს დავრწმუნდი.

სტატიის დასაწყისში მითითებულ ლინკზე ყველა ინტერვიუ, საარქივო მასალა, თუ პროცესებში მონაწილე ადამინთა მონათხრბია თავმოყრილლი. ნაშრომში კი დროის კოდებით შემოგთავაზებთ გამოყენებულ ფრაგმენტებს.

საინტერესოა, როგორ და რატომ გაჩნდა 90-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ტერმინები: მოღალატე, აგენტი, ერის მტერი და რა შედეგამდე მიიყვანა იარლიყებმა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლიტიკური ძალები. ამ შეკითხვებზე პასუხები არა მხოლოდ სამეცნიერო პუბლკაციებში, არამედ ვდეოარქივებშიც უნდა ვეძებოთ. გასაოცარ ფაქტებს ინახავს ჩვენი ელექტრონული ისტორია, რომელმაც ეპოქათა გასაყარზე მიმიდინარე პროცესების უტყუარი ფაქტობრივი მასალა შემოგვინახა. მე, რგორც ჟურნალისტს, 2010 -12 წლებში საზოგადოებრივ მაუწყებელში „უახლესი ისტორიის ქრონიკებზე" მუშაობისას, საშუალება მომეცა გავცნობოდი უნიკალურ საარქივო მასალას, რომელიც მე-20 საუკუნის 80 - 90 -იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა. ამ ბატალიებში მონაწილე ადამინათა ინტერვიუებზე მუშაობამ და ისეთ ისტორიკოსთა ნაშრომების განცნობამ, როგორებიც გახლავთ: მარიამ ლორთქიფანიძე, ვახტანგ გურული, დიმიტრი შველიძე, გურამ ყორანაშვილი, იგორ კვესელავა და სხვანი, გადამაწყვეტინა

უკვე, როგორც ისტორიკოსს და მკვლევარს გამეგრძელებინა მუშაობა და ამომეხსნა ჩვენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პოლარიზების და დაუსრულებელი რევოლუციური ეიფორიის საიდუმლო. სტატიის მიზანი არ არის ვინმეს დადანაშაულება ან გმირად შერაცხვა, ნაშრომი მიზანად ისახავს ერთხელ და სამუდამოდ შევცვალოთ ამ ქვეყანაში შავ -თერი აზროვნება, „გმირებისა და მოღალატეების“ ჭიდილი.

30 წლის მანძილზე ერთ წრეზე სიარულის პირობებში, ხშირად შევ-ხედოთ საკუთარ ქმედებებს გვერდიდან და დისტაციიდან მაინც გავაანა-ლიზოთ შეცდომები. ისტორიის ცოდნის არსიც ხომ ეს არის. ფაქტების ცოდნას მოაქვს ანალიზის უნარი, რომლიც გამორიცხავს რადიკალიზმს და ემოციურ ეგზალტაციას, რაც ასე ფეხმოკიდებულია ჩვენს სინამდვილეშიც.

საკვანძო სიტყვები: ეროვნულ-პოლიტიკური ბანაკი, საბჭოთა ხელი-სუფლება, რადიკალიზმი, ლოზუნგები, სამეცნიერო ელტა, საზოგადოებრივი აზრის პოლარიზება

შესავალი

90 -იანი წლების ეროვნული მოძრაობის დაწყებამდე, მომმე რესპუბ-ლიკების ერთიან ოჯახში ერთი შეხედვით ხავერდოვანი სიმშვიდისა და სტაბილურობის პირობებში საბჭოთა საქართველოს ხალხი ყოველთვის ცდილობდა ქვეყნის წინაშე არსებული ისტორიული გამოწვევების მიმართ პრინციპული პოზიცია ჰქონოდა. ამის ნათელი მაგალითია 1956 წლის 5-9 მარტის ბატალიები, ქართველი ბელადის პრესტიჟის დაცვის მიზნით გაერთიანებული ადამიანებით, საბჭოთა რეჟიმის სუსხითა და „სხვანაირი“ საზოგადოებით.

1956 წლის 9 მარტამდე ერთი კვირით ადრე 1956 წლის 25 თებერვალს, დახურულ ყრილობაზე სსრკ-ის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ სტალინი დიქ-ტატორი და კომუნიზმის მტერი იყო, ამდენად მისი პიროვნების კულტი უნდა დასრულებულიყო. დელეგატებმა, რომლებიც შეკრებას ესწრებოდნენ, საქართველოში გაავრცელეს ამბავი, რომ ხრუშჩოვმა არა მხოლოდ სტალინზე, არამედ ზოგადად ქართველებზეც ილაპარაკა და სტალინის ტირანული ხასიათი ქართული ეთნოფსიქოლოგიით ახსნა. ამ ყველაფერს თბილისში 1956 წლის 4 მარტიდან საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. „ქართველი ერის დიდი შვილის“ პრესტიჟის დასაცავად სტუდენტებმა და ახალგაზრდა მუ-შებმა 5 მარტს, სანაპიროზე სტალინის ძეგლთან ყვავილები მიიტანეს და ქართველი ბელადის შეურაცხყოფა გულწრფელად გააპროტესტეს. ისტო-რიკოსი ლევან ჯიქია რადიო თავისუფლებისათვის მიცემულ ინტერვიუში ასე აღწერს ამ მოვლენებს: „ შეკრება იმავე დღეს არ დაშლილა, ხალხი მოვიდა 6, 7, 8 მარტსაც. მიტინგები იმართებოდა გორსა და სოხუმშიც. მოსახლეობა სტალინის კრიტიკას ეწინააღმდეგებოდა. სტალინის ძეგლთან სიტყვით გამოდიოდნენ, ლექსებს კითხულობდნენ. სხვა გარემოებებიც იყო, მაგალითად, თუ რადიოეთერი დილით საქართველოს ჰიმნით იწყებოდა, იმ პერიოდში ეს მოიხსნა. გაუგებარია, ხრუშჩოვის თუ სხვა მიზეზით, მაგრამ

ქართველებს ეს ცუდად ენიშნათ. აქა-იქ საქართველოს დამოუკიდებლობაც ახსენეს. საბოლოოდ ეს მიტინგები, როგორც ჩანს, ხრუშჩოვისთვის საშიში გახდა.“ 9 მარტის დილას მომიტინგეთა წინააღმდეგ ტანკები და მერვე პოლკი გამოიყვანეს, ცეცხლი გახსნეს ტყვიამფრქვევებიდანაც.

1956 წლის 9 მარტს თბილისში დაიღუპა ოცდაათამდეე ადამიანი, დაიჭრა უფრო მეტი, თუმცა, ზუსტად რამდენი, დღემდე გაურკვეველია.“

1956 წლის მარტის მოვლენებმა ქართველი ერის ცნობიერებაში გარდატეხის მოხდინა შეძლო. ამ პერიოდში გამოვიდა ასპარეზზე ორგანიზაცია „გორგასლიანი,“რომელსაც ზვიად გამსახურდია ჩაუდგა სათავეში. ამ დროს გავრცელდა მისი პროკლამაციაც: „ქართველნო! არ დაგავიწყდათ ცხრა მარტის სისხლიანი ღამე. ქართველნო, სხვა არავინაა ჩვენი მშველელი ჩვენი საკუთარი თავის გარდა. ბრძოლით უნდა მივაღწიოთ თავისუფლებას. ძმური სალამი გმირ უნგრელ ხალხს!... ძირს ჩვენი ხალხის სისხლში ხელებგასვრილი ოკუპანტები და მათი სამხედრო ხროვა!გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! რომელი მოღალატეც ამას ჩამოხსნის, სიკვდილი ელის!“

ამ მოვლენების მონაწილემ და თვითმხილველმა, ლიტერატურათმცოდნემ და ენათმეცნიერმა, ასევე „სახალხო ფრონტის“ლიდერმა ნოდარ ნათაძემ, ჩემთან 2010 წელს ჩაწერილ ინტერვიუში, 9 მარტის ბატალიებში მონაწილე საზოგადოებას მებრძოლი უწოდა, რომელსაც „ლპობის“ ნასახი არ ჰქონდა. (https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html „ისტორია“01:30). „ მე მახსოვს 1956 წლის 9 მარტი, როდესაც ქუჩაში მოხდა ხვრეტა, დაიხვრიტა უამრავი ადამიანი. მე მაშინ დაჭერილი ვიყავი. 10-შიც გამოვიდა ხალხი, მათ წინ იდგა მე-8 პოლკი. მაშინაც ფიქრობდნენ მიეტანათ თუ არა იერიში. ხალხი ამისთვის მასობრივად მზად იყო. საზოგადოებაში ბზარი არ არსებობდა. ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ამ პროცესებში არ მონაწილეობდა, თუმცა მისგან მიიღეს დასტური და ეს დანაშაული აკმარეს, მეტი ღალატი არ მოუთხოვიათ მისი მმართველობის პერიოდში. შემდეგ ქვეყანაში დაიწყო მასობრივი კორუფცია, მჟავანაძემ მისცა მასას ქურდობის თავისუფალი საშუალება, რამაც ხალხი გარყვნა, ამიტომ ეროვნული მოძრაობის ახალ ტალღას, რომლიც 80-იანი წლების ბოლოს აგორდა სულ სხვანაირი საზოგადოება დახვდა.“

ამ პერიოდის თბილისს ასე ახასიათებს ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი: „მე მახსოვს ჩემი თავი, როცა ახალგაზრდა ვიყავი თბილისში სულერად როგორ ვიღვიძებდი და ამ გაღვიძების მთავარი მექანიზმი იყო განცდა სიბნელის, უსამართლობის, ძალადობის და ტყუილის, რომელიც როგორ ოკეანე ისე იყო ჩვენს გარშემო. მნიშვნელობა არ ჰქონდა რა ხდებოდა ამ დროს მოსკოვში და ვისი ბრალი იყო. ეს იყო ჩვენი ცხოვრება და ქართველების მიერვე ნათქვამი ტყუილი, ქართველებში არსებული სიბნელე, მოძალება ამ მლიქვნელობის. თვალებში გიყურებენ, გატყუებენ და გახრჩობენ, გთრგუნავენ და შენ თქმაც არ შეგიძლია არაფრის, რადგან ენაც გახდა ბუნებრივი, ოფიციალაური და რაღაცნაირი რიტუალური.“

ამ პერიოდის საზოგადოებრივ - პოლიტიკური რეალობა ასევე გააცოცხლა მეცნიერმა და პოლიტიკოსმა, პეტე მამრაძემ გადაცემათა ციკლში

„საქართველოს დაბადება.“პეტრე მამარაძის მოსაზრება ჩემთვის, როგორც მკვლევარისთვის განსაკუთრებით ფასეულია, რადგან ის 1985 წლამდე, იგივე ცნობილ გარდაქმნამდეც აკვირდებოდა მოვლენებს. არ ყოფილა არც კომკავშირელი და არც პატიული მუშაკი. ეძებდა მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ახალგაზრდა ფიზიკოსს 60 -70-იანი წლების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გაანალიზებაში იატაკქვეშა ორგანიზაციაში მუშაობა დაეხმარა, რომელსაც ის 1975 წლიდან შეუერთდა. „მიმდინარე მოვლენათა ქრონიკა“- ასე ერქვა ორგანიზაციას, რომელიც მოსკოვის ცენტრალური ოფისის ფილიალი გახლდათ. აქ მომუშავე ადამიანთა მცირე ჯგუფს საქართველოში არსებული საინტერესო სოციალ-პოლიტიკური თუ ეკონმიკური მიმართულებების შესახებ, ზუსტი ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი ევალებოდა. გადაცემაში „საქართველოს დაბადება,“ ბატონმა პეტრემ მართლაც რომ 60-70 იანი წლების ქართული საზოგადოების უტყუარი სურათი დახატა... (https://www.youtube.com/watch?v=ZqxQIHmvtEQ „საქართველოს დაბადება“3:30): „ძალიან საინტერესო მოვლენები იყო იგივე 70-იანი წლების ბოლოს, როდესაც გამსახურდია-კოსტავას ამბები ხდება და დისიდენტური მოძრაობა იკიდებს ფეხს მთელს საბჭოთა კავშირში. 4:10 იგივე ლიტერატურა, დისიდენტური იქნებოდა ეს გულაგი, სახაროვ-სოლჟენიცინის თუ სხვების წერილები გამოდიოდა უხვად და ამას ვეცნობოდი მე სხვებთან ერთად, მცირე ჯგუფი ვიყავით. ამან დიდი ინფორმაცია მომცა, რადგან მანამდეც ვაკვირდებოდი რა ხდებოდა საქართველოში. 4:42 ჩემს თვალწინ 10 წელიწადში ზნეობრი ნორმები,(არ ვამბობ რომ ეს ცუდია, არ ვამბობ რომ ეს კარგია)ეს ფაქტია, შეიცვალა 180 გრადუსით. ჩრდილოვანი ეკონომიკის შემოსვლის კვალობაზე,(სხვა საკითხია რატომ შემოვიდა და როგორ) ნაღდი ფულის ულევი ნაკადის შემოსვლის ფონზე ცხოვრება შეიცვალა, ყველა იძულებული გახდა რაღაც ეკეთებინა ხელფასის გარდა. ეს უკვე 60-იანი წლების მეორე ნახევარია. აი ცნობილ ფილმში „ბრილიანტის ხელი“ წყევლა რომ არის „მხოლოდ ხელფასზე გეცხოვროს,“ როგორც კოშმარული სიზმარი, ისეა წარმოჩეილი. საქართველოში ეს შესაძლებელი იყო. მე, როგორც ფიზიკოსმა, როდესაც დავამთავრე უნივერსიტეტი, რათქმაუნდა ვამზადებდი მოწაფეებს და ხუთჯერ მეტი მქონდა შემოსავალი ხელფასთან შდარებით, რადგან ბავშვების მშობლებს ჰქონდათ დიდი ფული.“

ბატონი პეტრე მამარაძე აქვე იხსენებს მწერალ რეზო ჭეიშვილის ერთ სტატიას, სადაც ის რუსეთისა და ბალტიისპირეთის დიდი ქალაქების პრესტიჟულ რესტორნებსა და სასტუმროებში ქართველთა ქეიფსა და დროსტარებას აღწერს, რის გამოც შიქმნა ფსიქოლოგიური დომინანტი, რომ ქართველი ერი ყველაზე მდიდარი და ხალხმრავალი ერია მთელს საბჭოთა კავშირში. მეცნიერი აქვე ახსენებს მაკროსოციოლოგიაში არსებულ ცნებას, „დამღუპველ თვითდაჯერებულობა,“ რომელსაც ქვემოთ განვავრცობთ.

პეტრე მამრაძე ასევე ერთ საინტერესო ტენდენციაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ხანას ეხება: „ შევარდნაძე ვიდრე წავიდოდა 1985 წელს საქართვეელოდან მოსკოვში, მანამდე ჩვენი მწერლები, ჩვენი პოეტები ბეჭდავდნენ ყველაფერს, რაც

უნდოდათ და ღებულობდნენ ამაში სახელწიფო პრემიებსაც და რუსთაველის პრემიებსაც.

მურმან ლებანიძე მეუბნებოდა ერთ ლექსზე, ვმეგობრობდით, ამ ლექსის გამო გულაგში ვქნებოდი, მოსკოვში რომ დამეწერაო.“ ქართული მწერლობის კრიტიკულ რეალიზმზე მეტყველებს გურამ ფანჯიკიძის „ თვალი პატიოსანი,“ სადაც დეტალურად არის აღწერილი ახალი ელიტის მანკიერება. ამ ნაწარმოებში აღწერილია ქართველი მდიდარი ადამიანების თავხედური ქეიფი, როდესაც ოფიციანტს ეუბნებიან: მოიჭერი თითი, შეწვი და 5000 მანეთს მოგცემო. ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ იქნება ვის გვერდით მოხვდებოდნენ ასეთი ადამიანები 90 -იანი წლების ტრაგიკული მოვლენების დროს. იგივე ლაიტმოტვი გასდევს ოთარ ოსელიანის ცნობილ ფილმს „გიორგობის თვე,“ თუმცა იმ პეროდის ქართული საზოგადოების, უფრო სწორად კი სამეურნეო ელიტის გარკვეული ნაწილის შესაფასებლად მუხრან მაჭავარიანის ლექსის ეს ერთ სტროფიც კმარა: „განა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა, შენსავით მტერმა იცხოვროს შენმა, განა იმიტომ, რომ სიტყვამ ქურდმა უარყოფითი დაკარგა ჟღერა.“ ეს ლექსი დაწერილია 70 იან წლებში, დაბეჭდილია და პოეტს მიღებული აქვს სახელმწიფო პრემია.

საზოგადოების გარკვეულ ფენებში გამეფებულ მომხვეჭელობასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის ისეთ ხალხიც იყო, ვინც 1978 წლის აპრლში ქართუული ენისა და საკუთარი ეროვნული ღირსების დასაცავად დაირაზმა. „საქართველოს ცენტრალური კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შვინარჩუნოთ და დავტოვოთ ფორმულირება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადებას“- მიმართავდა ტელევიზიით საზოგადოებას იმ პერიოდში ცეკას პირველი მდივანი- ედუარდ შევარდნაძე.

1978 წლის 14 აპრილს საერთო ეროვნულმა პროტესტმა ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნა. მას შემდეგ კი საზოგადოებაში ეროვნული თვითშეგნების განცდის გამძაფრება საბჭოთა იმპერიის მსხვრევის პროცესის პარალელურად ხდებოდა. ამ დროს კიდევ უფრო გააქტიურდა დისიდენტური მოძრაობა და იატაკქვეშიდან გამოვიდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები (https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html „ისტორია“).

ამ თემაზე ინტერვიუ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერთან ირაკლი ბათიაშვილთან 2010 წელს ჩავწერე.

05: 34 „ნურავის ექნება ილუზია, რომ ეროვნულ -განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო იმის გამო, რომ მოსკოვიდან მწვანე შუქი იყო. ჩვენ გვიხდებოდა ბრძოლა უმძიმესი წინააღმდეგობის პირობებში, როდესაც ტოტალური კონტროლი და დევნა ხორციელდებოდა ჩვენზე საბჭოთა უშიშროების კომიტეტის და სხვა ძალოვანი უწყებების მხრიდან. იყო დარბევები და დაჭერები. გორბაჩოვმა რომ გამოაცხადა „გლანსნოსტი და პეერსტოიკა“ იქ დამთავრდა ყველაფერი?- არა რათქმაუნდა“-თუმცა ამ საკითხზე საპირისირო მოსაზრებაც არსებობს, რაც უფრო ახლოსაა ლოგიკასთან, განსაკუთებით ამ გადასახედიდან. მაგალითად, მეცნიერი და პოლიტიკოსი პეტრე მამარაძე ამბობს, რომ ჩვენ დამოუკიდებლობა

მოპოვებული არ გვაქვს და ეს უჩვენოდ გადაწყდა, ეს არ იყო ბრძოლით მიღებული. ეს გადაწყდა ბელოვეჟში, რუსეთის ,ურაინისა და ბელორუსის ლიდერების მიერ, სადაც ქართველებისთვის არ დაუძახიათ და საბჭოთა კავშირის დაშლა შემდეგ გაფორმდა ალმა-ატაში 1991 წლის დეკემბერში, როდესაც დამოუკიდებელ სახელმწიოთა თანამეგობრობა შეიქმნა.

80-იან წლებში ცეკას პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა ჩემთან 2010 წელს ჩაწერლ ინტერვუში განაცხადა, რომ იატაკქვეშ არცერთი ორგანიზაცია არ ყოფილა, რომ ყველანი ღიად მოქმედებდნენ და ფინანსდებოდნენ კიდევაც. (https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html „ისტორია“).

06:11„პირადად ჩემს მიმართ ვერცერთი მათგანი წამოაყენებს ბრალდებას, რომ რეპრესიებს განიცდიდნენ. მათ პირადად ვიცნობდი. მაგალითად, თამარ ჩხეძეს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული 1978 წლის მოვლენებში და 1983 წლის ბატალიებში, როდესაც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღნიშნვა ხდებოდა. ვიცნობდი ასევე ზურა ჭავჭავაძეს და მერაბ კოსტავას, რომელიც მაშინ დაკავებული იყო.

ზოგადად ცნობილია, რომ დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების დროს, გარკვეული ძალები ყველაფრის საკუთარ თავზე მიწერას ცდილობენ და არაფრად დაგიდევდენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, არადა ეპოქათა გასაყარზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში საზოგადოების ყველა ფენას თავის ფუნქცია ჰქონდა, უფრო სწორად ცდილობდნენ ფუნქცია ჰქონოდათ, თუმცა ამაოდ. ეს რომ მართლაც ასეა ისტორიული ფაქტები და ის სააქივო მასალა მოწმობს, რომლიც ელექტრონულმა ისტორიამ(ვიდეოარქივმა) შემოგვინახა. რაც შეეხება მსოფლიოში მიმიდინარე პროცესებს და აგდებულად ნახსენებ „გლასნოტსა და პერესტოიკას,“ კარგად გავიხსენოთ 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დაწყებამდე, 1956 წლის ნოემბერში ჩეხეთსა და უნგრეთში დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რა ბედი ეწია უნგრეთის პრემიერმინისტრს, რეფორმატორსა და რევოლუციონერს იმრე ნადის. საქართველო კი ვერც გარდაქმნისა და საჯაროობის პერიოდში გადაურჩა იმპერიიის ნანგრევებს. ყველაფერი კი ასე დაიწყო...

რეფორმები, რომელიც 70 წელს მიტანებული საბჭთა იდეის რეა-ნიმაციას სჭირდებოდა, დროულად არ განხორციელდა, ამდენად, თავდ კომუნისტები მიხვდნენ, რომ საბჭოთა იმპერია მსოფლიო პილიტიკისა თუ ეკონომიკის ფერხულში საჭირო ტემპს ვერ აუწყდა ფეხს და მისი მსხვრევა საკუთარი ხელით დაიწყეს. თავდაპირველად ეს პროცესი დასავლეთის ზეწოლით, მიხეილ გორბაჩოვის მიერ გამოცხადებულ ერთი შეხედვით უწყინარ ლოზუნგებში გამოჩნდა: „საჯაროობა, გარდაქმნა, დემოკრატია“

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს გურამ ყორანაშვილს ცნობილ წიგნში „ 9 აპრილი- მითი თუ რეალობა“ დეტალურად აქვს აღწერილი, რამდენად „სარფიანად“ გამოიყენა ქართულმა ეროვნულ-პოლიტიურმა ბანაკმა მსოფლიოში მიმდინარე ცვლიებები. ჩემთან ინტერვიუში კი ასე შეფასა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი(https://old.1tv.ge/ge/videos/

view/339/66.html „ისტორია“). 08: 34 „ ეს იყო მსოფლიო პოლიტიის, ეკონომიკის და იდეური განვითარების კონტექსტში და საბჭოთა იმპერიამ ვერ გაუძლო ამ კონკურენციას, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხედრო შეიარაღების კუთხით.

საბჭოთა ეკონომიკა სულს ღაფავდა და ძალიან ოდიოზური რეჟიმი გახდა ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის კუთხით. ამ დროს გამოჩნდა მიხეილ გორბაჩოვი, თავის რეფორმატორთა გუნდით, რომელსაც უნდოდა საბჭოთა იმპერიის შეკეთება, სოციალიზმის ჰუმანური სახით წარმოჩენა, თუმცა საბჭოთა წყობილების შეკეთება არ გამოვიდა.“

ამ საკითხთან დაკავშირებით კინოდოკუმენტალისტებმა საზოგადოებრივი აზრის კვლევა დაიწყეს. საზოგადობრივი მაუწყებლის არქივში დაცულია ვიდეომასალები ამ თემაზე საზოგადოებრივი აზრის შესახებ. გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა გამოცხადებულ გარდაქმნას და დემოკრატიას ეჭვის თვალით უყურებდა, ზოგიერთს კი ამ მოვლენის არსის გაგებაც უჭირდა. მიუხედავად ამისა, დავესესხები ბატონ ნოდარ ნათაძის სიტყვებს, რომ ეს იყო პირველი დიდი ტორპედო, რომელიც შეუგდეს საბჭოთა წყობილებას. ახლა კი ამონარიდი თავად მასთან ჩაწერილი ინტერვიუდან:

09:18 „საბჭოთა კავშირმა აღიარა, რომ არსებობს რაღაც ნორმები, რომელიც ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს, ანუ ადამიანის უფლებების არსებობა აღიარა, როგორც ფაქტი. ეს იყო პირველი დიდი მასშტაბის ტორპედო, რომელიც შეუგდეს საბჭოთა წყობილებას. ამ ხერხმა იმუშავა, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა ესიმულიანტა ადამიანის სახე მაქვსო. მათ მოინდომეს ჩარევა მსოფლიო საზოგადოებაში, რომელიც ორ ფეხზე დადის. ეს მათთვის განაჩენი იყო, მაგრამ იძულებულნი გახდნენ ასე მოქცეულიყვნენ. ამ ფონზე შეიქმნა დისიდენტური მოძრაობის შესაძლებლობა.“

მეთოდი

მასალა განხილულია სხვადასხვა წარმოშობის ინფორმაციის ურთიერთშეჯერების მეთოდით.

შედეგები

ნაჩვენებია საზოგადოებრივი აზრის პოლარიზების დონე გასული საუკუნის 80-90 იანი წლების მიჯნაზე და მისი გამომწვევი მიზეზები.

მსჯელობა და დასკვნები

ზოგადად ისტორიული მოვლენები თავისთავად არ ხდება, ეს არის ადამიანის ძალისხმევისა და ობიექტური კანონზომიერების შედეგი. მსგავსი გამოწვევები ადამიანის ცნობიერების ტრანსფორმაციას მოითხოვს და ერს აკისრებს მთავარ ამოცანას, მაქსიმალურად გონივრულად გამოიყენოს ხელსყრელი ისტორიული მომენტი. როგორ მოიქცა ქართველი ერის პოლიტიკურად აქტიური ნაწილი ქვემოთ ვისაუბრებ, თუმცა კვლავ მინდა მოვიტანო ამონარიდი ფილმიდან, „მერაბ მამარდაშვილი,“ სადაც თავად დიდი ფილოსოფოსი ესუბრება ტელემაყურებელს. (https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html „ისტორია“).

10:42 „ამ ცოცხალი სხეულისთვის, რომელსაც საქართველო ჰქვია და რომლის ნაწილიც ჩვენ ვართ ყველანი, დადგა ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტი. ამ მომენტის გაგება და ახსნა დაკავშირებულია წარსულის წარმოდგენასთან. გააზრება მისი, თუ რა არის წარსულის პრობლემა და რა წარსული ლაპაკობს ჩვენში. უეჭველად ლაპარაკობს, მე ვფიქრობ ამ სხეულისთვის დადგა ჟამი გარკვეული ველიდან გამოსვლის და სხვა ველში შესვლის. ველი არის სოციალურ-ისტორიული სივრცე, სტრუქტურებული რაღაც ძალებით. ეს ძალები ადამიანში ცხოვრობენ, მოქმედებენ და ეს არის პათოსები, ვნებები წარმოდგენები სურვილები და ფსიქიური ენერგიები.“

დიახ, მართლაც დადგა დრო სხვა ველში შესვლის, თუმცა მიზნამდე მისასვლელ გზაზე სულაც არ იყო საჭირო თვითგანადგურება, ვნებების, პათოსებს, წარმოდგენებისა და სურვილების ფსიქიკურ აშლილობამდე მიყვანა და რაც მთავარია ტოტალური აუტანლობა განსხვავებული აზრი-სადმი. 80-90 იან წლებში საქართველოში განვითრებული მოვლენებიდან გამომდინარე ისმის ლეგიტიმური შეკითხვები, თუ რამდენად იყო ქართული საზოგადოება მზად ეპოქალური ცვლილებებისთვის, ტოტალიტარული რეჟიმის შემდეგ რამდენად შეძლებდა ჩვენი ქვეყანა ახალ რეალობაში უმტკინეულოდ ცხოვრებას და თავისუფლების არსის გაგებას, როგორ უნდა ემოქმედათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს მაშინ, როდესაც ეროვნულ-პოლიტიკური ბანაკის ერთ ნაწილს და მათი მომხრეებს დამოუკიდებლობა მხოლოდ ლოზუნგი და პოლიტიკური რომანტიზმი ეგონათ და არაფერს აკეთებდნენ მოსალოდნელი ეკონომიკური კოლაფსის თავიდან ასაცილებლად. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი წეეთელმა ზემოთ დასმულ შეკითხვაზე ასე მიპასუხა:მ (https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html „ისტორია“) 14: 58 „პიროვნების სიდიადე განისაზღვრება იმით, თუ რამდენად უსწრებს ის მოვლენებს, საქართველო არც ახლა არის მზად , რადგან ქართველების 90 პროცენტი არის მონა. ამათ უნდა ვუცადოთ ესენი როდის მოვლენ აზრზე?

მე, ირაკლი წერეთელს მინდოდა რომ ის ერი, რომელმაც წარმოშვა ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, ვაჟა- ფშა-ველა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ყოფილიყო თავისუფალი“

ასეთი იყო ახალგაზრდა, გამოუცდელი და პოლიტიკური რომან-ტიზმით (პირველ ეტაპზე) შეპყრობილი ირაკლი წერთლის პოზიცია, რაც არც არის გასაკვირი, თუმცა არსებობდნენ სამეცნიერო ელიტის წარმომაგენლები,რომლებშიც სწორედ ზემოთ ხსენებულმა „დამღუპველმა თვითდაჯერებულობამ“ იჩინა თავი. ამ ტიპის თავდაჯერებულობა ჰქონ-დათ არა მხოლოდ საზოგადოების რიგით წევრებს, არამედ აკადემიური წრეების წარმომადგენლებს. ამ პეროდში ამ ორბიტაზე მომუშავე ადამიანები ადასტურებენ, რომ სხვადასხა განყოფლებაში ყავის სმის დროს იყო გამუდმებული საუბარი იმაზე, რომ რუსების ხელში ასე კარგად ვართ და თუ გამოვედით აქედან და მოვწყდით ამას სივრცეს 2 წელიწადში გერმანიასაც გავასწრებთ და ნიდერლანდებსაცო. იყო დრო, როდსაც ამ ადამიანებისთვის მხოლოდ ბორჯომი საკმარისი იყო იმისთვის, რომ საქართველო ქუვეითი

გამხდარიყო, რომ არაფერი ვთქვათ ქართულ ღვინოზე. რათქმაუნდა რუსეთისგან თავი უნდა დაგვეღწია, თუმცა რადიკალურად განსხვავებული მეთოდებით და ნაკლები დანაკარგით (https://www.youtube.com/watch?v=ZqxQIHmvtEQ „საქართველოს დაბადება“).

პეტრე მამრაძე 8:08 „რათქმაუნდა დამოუკიდებლობას ალტერნატივა არ აქვს, ეს არის უდიდესი ფასეულობა, განაკუთრებით თვითკმარი დამოუკიდებლობა. არ დამავიწყდება, როდესაც 16 წლის გავხდი მამაჩემმა 1968 წელს დამიძახა და მითხრა: თავადი ზურაბ ავალიშვილი პაპაშენის, პეტრე მამრაძის ახლო მეგობარი იყო პეტერბურგში. აი მისი წიგნი, „საქართველოს დამოუკიდებლობა“ 1926 წელს თბილისში გამოცემული შალვა ელიავას მიერ, წაიკითხე და მერე ისევ მომეცი. და ეს აზრი, ვისაც მე ვიცნობდი, ამ ოჯახებში სულ გახსენება იყო იმის, რომ იყო სამი წელი დამოუკიდებლობისა და ძირითადი აქცენტი იყო შეცდომებზე, თუმცა ისიც ესმოდათ, რომ ვერ შევნარჩუნებდით, მაგრამ სულ უბრუნდებდნენ უფროსი თაობის ადამიანები ამ ყველაფერს.“

90 -იანი წლების ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის მთავარი პრობლემა, პიროვნული აუტანლობის გარდა სწორედ ის გახლავთ, რომ ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებელის, შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და ქაქუცა ჩოლოყაშვილს ეპოქათა შემდეგ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, შეიცვალა გეოპოლიტიკური სივრცეები და მერაბ მამარდაშვილის არ იყოს, ეროვნულ მოძრაობაში ყურადღებას არ აქცევდნენ თუ „რა წარსული ლაპარაკობდა ჩვენში,“ რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე მეტად პრაგმატულნი, მოზომილნი, ერთიანნი და ფრთხილნი ვყოფილიყავით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თავდაპირველდ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ხალხის მზადებაზე ფიქრი ეროვნული მოძრაობის ლიდრებმა ერთი მრგვალი მაგიდის ირგვლივ დაიწყეს, სადაც თავად ლიდერთა ცნობიერების ტრანსფორმაცია და ახალ რეალობაში ქვეყნისათვის კუთვნილი ადგილის ძიება ხდებოდა. ინტერვიუ, სადაც ამ ფაქტზეა მოთხრობილი ირაკლი ბათიაშვილის კუთვნილ სახლში 2010 წელს ჩავწერე:

„ ეს პაპაჩემის დანატოვარი მაგიდაა, ჩემთვის ძალიან ძვირფასი. სწორედ აქ დავიწყეთ ჩვენ 1987 წელს შეკრებები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარკვეულმა წარმომადგენლებმა. კოკო გამსახურდიამ, რომელიც ჩემი ახალგაზრდობის მეგობარი იყო, ირაკლი წერეთელმა , მერაბ კოსტავამ, დათო ტურაშვილმა, თედო პაატაშვილმა. კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც აქ ბატონი ზვიად გამსახურდია გვესტუმრა. შემდეგ ფართოვდებოდა ეს წრე და აღარც გვყოფნიდა ეს მაგიდა. ხან აქ ვიკრიბებოდით, ხან სხვაგან. გვიერთდებოდნენ მეცნიერები, მაგალითად, მერაბ მამარდაშვილი, ძალიან საინტერესო იყო მისი საუბარი მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. იყო დისკუსია და ანალიზი იმისა, რაც ხდებოდა საბჭოთა კავშირში და გლობალურად მსოფლიოში, რა კავშირი ჰქონდა ამ ყველაფერს საქართველოსთან და შემდეგ გადავდიოდით პრაქტიკულ საქმიანობაზე, თუ რა შეგვეძლო გაგვეკეთებინა“

მოგვიანებით, სახალხო ფრონტის სხდომაზე მერაბ მამარდაშვილის

ჯანსაღ და პრაგმატულ პოლიტიკურ შეხედულებას დაუსტვენენ, თუმცა 1987 წელს ეროვნულ-პოლიტიკურ ბანაკში კოორდინირებული მუშაობა და მოვლენათა ანალიზის უნარი მართლაც შესწევდათ. ახალი მოძრაობის მიმართ ქართული საზოგადოების ერთ ნაწილს იმედი მაშინ გაუცრუვდა, როდესაც ტელევიზორის ეკრანზე ცნობილი „ღირსების სასამართლოს“ ფრაგმენტი იხილა, სადაც შემდგომში რადიკალი გია ჭანტურია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერს, ზურა ჭავჭავაძეს აგენტობას სწამებდა და შუბლის გახვრეტით ემუქრებოდა. ამ ერთსაათიან ვიდეომასალაში, რომელსაც ორი ოპერატორი იღებდა, კარგად ჩანს ეროვნულ-პოლიტიკურ ბანაკში არსებული ლიდერების პიროვნული აუტანლობა, უნდბლობა, ინტელექტუალური მოცემულობა და იაფფასიანი ბრადლებები იმის შსახებ, თუ ვინ რა თქვა, როდის თქვა, რა დააბრალა, ვინ მოღალატეა და ვინ აგეენტი.

შეიძლება ითქვას, რომ ეს „ღირსების სასამართლო“ არის საწყისი დიდი მიზნისკენ მიმავალი გზის უღირსი გამრუდების. მაშინ ხმა გავრცელდა, რომ ეს ვიდეო მოსახლეობას ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის მიზნით აჩვენეს, თუმცა ისტორია ხომ შედეგით იზომება. ალბათ საზოგადოების ერთი ნაწილი მაშინათვე მიხვდა, თუ რამხელა საშიშროებას უქადის ერს და ქვეყანას პოლიტიკოსად გარდაქმნილი დისიდენტი, რომელიც თანამებრძოლებთან კომუნიკაციური უნარების ხელოვნებასაც არ ფლობს. ასეც მოხდა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იმ ოთახში შეკრებილი, საერთო იდეალებისთვის მებრძოლი ძალები, ერთმანეთს იარაღით დაუპირისპირდნენ და რუსთაველზე ისეთი ომი გააჩაღეს, რომელიც ომის არანაირ კანონს არ სცნობს. ისტორიკოსებმა, ისტორიოგრაფებმა, ჟურნალისტებმა და ყველა ამ ქვეყნის მიმართ პასუხისმგებლიანმა მოქალაქემ კარგად უნდა გააცნობიეროს ეს მოვლენები და მათი შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ქართულ პოლიტიკურ აზრვნებაში იარლიყებით საუბარი.

მართალია, ინფორმაციულ ეპოქაში ამით ვეღარავის მოატყუებ, თუმცა რადიკალებს დღესაც ჰყავს მრავალრიცხვანი მრევლი და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი შტურმი, სიტყვის თავისუფლების ან დემოკრატიული პროცესის დასაცავად მიმართულ ქმედებად საღდება ახლაც, რომ აღარფერი ვთქვათ ევროპულ მომავალზე.

ახლა კი კვლავ ქრონოლოგიას მივყვეთ, თუ როგორ მივედით 9 აპრილის ტრაგედამდე როგორ მოვახეხეთ საზოგადოებივი აზრის ისეთი პოლარიზება, მოურჩენელ დაავადებად რომ გვექცა დღემდე. ერთ დროს მრგვალი მაგიდის ირგვლივ შეკრებილთა შორის ყველამ ბელადის როლი ვერ მიიღო და ეროვნული მოძრაობის ლიდერებიც, ქართული წესისა და რიგის მიხედვით, მარტივ მამარავლებად დაიშალნენ. ირაკლი ბათიაშვილმა იმავე ინტერვიუში, რაც ზემოთ ვახსენე, მითხრა, რომ ეროვნულ ძალებში კონფრონტაციას არა მომავალი თავისუფალი არჩევნებისადმი განსხავებული პოზიცია, არამედ თავად ეროვნული ლიდერების ერთმანეთისადმი პიროვნული აუტანლობა იწვევდა და ამ დაპირისპირების გამო ორივე მხარეს თანაბარი პასუხისმგებლობა უნდა ერგოთ.

ეროვნული მოძრაობის ლიდერებში განხეთქილებისა და კონ-

ფრონტაციის პირველი მიზეზი კონკრეტული მიზეზი კი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისთვის ბრძოლის მცდელობის დროს გაჩნდა. ეს გახლდათ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის- 26 მაისის აღნიშნვასთან დაკავშირებული ბატალიები. ეროვნულ -პოლიტიკური ბანაკის ერთ ნაწილს მიაჩნდა რომ ქართულ საზოგადოებას ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება არ სჭირდებოდა და ასეთ საკითხებზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო მიტინგების გამართვა სირცხვილად მიაჩნდა. დაპირისპირებულ მხარეებს პოზიცია არც წლების შემდეგ შეუცვლიათ. ახლა ვეცდები ფურცელზე გავაცოცხოლო ეს დისკუსია. (https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html „ისტორია“).

საარქივო მასალამ შემოგვინახა, თუ როგორ მიმართავს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, შემდგომ კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია მოსახლეობას:

18:46 „ძვირფასო მეგობრებო, გილოცავთ დღვანდელ დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღს, ამ თარიღს აღნიშნავს მთელი ქართველ ერი, მაგრამ ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ჩვენ მხოლოდ თარიღს ავღნიშნავთ და რეალური დამოუკიდებლობა ჯერ არ გაგვაჩნია და არც საზეიმო გვაქვს ბევრი რამ.“

ირაკლი ბათიაშვილი 19:21 „მაშინ ჩვენ დავგეგმეთ 26 მაისს პირველი აქცია, რომ აღგვენიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღი და როცა შევიკრიბეთ ამასთან დაკავშირებით დაიწყო სავსებით ლოგიკური კამათი. ბევრი ამობდა, რომ მიტინგის გამართვას აზრი არ აქვს, რადგან საზოგადოებს 90 % არ იცის რა არის 26 მაისი. მაშინ მართლაც ბევრმა არ იცოდა რომ 1918- 21 წლებში საქარველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ამიტომ იყო აზრი რომ ჯერ საგანმანათელებლო ხაისათის ღონისძიებები ჩაგვეტარებინა.“

ირაკლი წერეთელი: 20: 22 „ ვერცერთი ჩვენთაგანი ვერავის ვერაფერს ასწავლის. ცოტა ცინიკური დამოკიდებულება იყო. განმანათლებლობა უკვე დამთავრდა. გამსახურდიას შემდეგ, გალაქტიონის, ოთარ ჭილაძის შემდეგ ჩვენ რანაირად უნდა გაგვენათლებინა ერი. ქართველ ერს განმანათლებლობა არ სჭირდებოდა, რადგან ძალიან განათლებული და ნიჭერი ერია. მხოლოდ თავისუფლება სჭირდებოდა, რადან ერი იყო ანექსირებული და ოკუპირებული. დღევანდელი დღეც იმას მოწმობს, რომ თავისუფალი ადამიანი რასაც ჰქვია დღესაც პრობლემაა. მე ვჩხუბობდი და ვამბობდი, რომ მე ვარ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი და ვისაც გინდათ ანათლეთ ერი.“

აი, ასეთი მაღალი წარმოდგენის იყო ბატონი ირაკლი წერეთელი 70 წლიანი ექპერიმენტის შემდეგ (რომელსაც კარგიც ჰქონდა და ცუდიც)

ქართველი რიგითი მოქალაქის შესახებ, თუმცა საინფორმაციო მიტინგები და მანიფესტაციები ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის მართლაც ყველაზე მისღები ხერხი აღმოჩნდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში ხალხისაგან წამოსულ ნებისმიერი სახის პროტესტს, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება ლოიალურად ხვდებოდა. კომუნისტები 26 მაისის ოფიციალურად აღნიშნვას

უპრობლემოდ დათანხმდნენ. ამ მოვლენის შესახებ იუწყებოდა 1988 წლის 25 მაისის გაზეთ კომუნისტის პირველი გვერდიც. ფაქტს ადასტურებს თავად იმჟამინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი.

21:47 „26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე , პირველად მე გამოვაცხადე. ეს გამოქვეყნდა გაზეთ კომუნიტში, რომელიც არ ესიამოვნათ, ამის გამო მე შენიშნვა დავიმსახურე. მოსკოვში ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომელიც იდეოლოგიას ხელმძღვანელობდა მკითხა თუ რას ნიშნავდა ეს თარიღი, მე მას ავუხსენი და კი მიიღო ჩემი პასუხი, თუმცა როგორ დააკმაყოფილა არ ვიცი.“

ამ ფაქტებით იმის თქმას ვცდილობ, რომ თავდაპირველად ეროვნულ მოძრაობას საზოგადოების ყველა ფენა გულშემატკივრობდა. ფრთხილად და პრაგმატულად მიჰყვებოდნენ მოვლენებს ქართველი კომუნისტები და ინტელიგენცია, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. სჩანდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის განთავისუფლების ბალტიისპირული მოდელისკენ იხრებოდა და მაქსიმალურად ცდილობდა კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში ემოქმედა ეროვნულ-პოლიტიკურ ბანაკთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთანაც. პარალელურად მიტინგებზე ისმოდა ემოციური გამოსვლები, თუმცა პროცესი ჯანსაღი გზით მიდიოდა. სატლევიზიო არქივმა შემოგვინახა კადრები, თუ როგორ გამოეხმაურა ეროვნუული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მერაბ კოსტავა 26 მაისის თემას.

22:35 „ მეგობრებო ჩვენ უნდა მივეახლოთ ახალ 26 მაისს, რომელსაც ვერ შეცვლის ახალი 25 თებერვალი, ახალი 25 თებერვალ აღარ უნდა განმეორდეს! კურთხეულ იყოს, დამოუკიდებელი თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო.“

შეიძლება ითქვას, ამ პერიოდიდან გორდება საზოგადოებაში ემოციური ეგზალტაციის ტალღა, მოდაში შემოდის ყვირილი, იმპერატიული ტონი, სკანდირება და საბჭოთა იმპერიის მსხვრევის პარალელურად თემების ძიება ახალ-ახალი პროტესტისთვის, მარათონული მიტინგებისა თუ ეროვნული დაუმორჩილებლობისთვის, ქვეყნის ახალ ეკონომიკურ რელსებზე გადასვლის გზების ძიების ნაცვლად. ზემოთ განმათავისუფლებელი მოძრაობის ბალტისპირული გზა ვახსენე და ამ საკითხზე ინფორმაციის მოძიებისას კვლავ ამონარიდი მინდა შემოგთავაზოთ მეცნიერისა და პოლიტიკოსის ბატონი პეტრე მამრაძის ინტერვიუუდან (https://www.youtube.com/watch?v=ZqxQJHmvtEQ „საქართველოს დაბადება“).

10:24 „ჩვენ ხანდახან გვეხმარება საოცარი ოპტიმიზმი, თუმცა პრაგმატულად რომ შეხედო რის საფუძველზეა ეს ოპტიმიზმი ვერ მიხვდები, მაგრამ ხალხში ეს არის და ეხმარება რომ გადაიტანოოს რაღაც, თუმცა ძალიან მძიმე შეცდომების ფასად. ჩეხეთიდან კოლეგა ფიზიკოსი ჩამოვდა და თქვა, თავჩაღუნულები სხედან ჩეხოსლოვაკიაში და ამბობენ: მართალია საბჭოთა კავშირის დაშლა ყველას უხარია, მაგრამ ფიქრობენ მერე რა გააკეთონ პირველ ეტაპზე, როდესაც ეს ეკონმიკური ბმები გაწყდება. მთელი აქცენტი და მუშაობა ახალი კავშირ-ურთირთობების ძიებაზე იყო მიმართული.

16:01 ბალტიისპირეთში ამ დროს ხელჩაკიდებულები მუშაობდნენ იქაურიი პარტიული ბოსები, ანუ ცეკას მდივნები და ეროვნული მოძრაობა, რომელიც სახალხო ფრონტში იყო გაერთანებული. მუდმივი კოორდინაცია ჰქონდათ ერთმანეთთან, შენ ახლა ამას იტყვი, მე ამას გავაკეთებ, მე ყრილობაზე ამას ვიტყვი, შენ მიტინგს მოაწყობ. მქონდა მე მათთან საუბარი . 11;50 ახლა აქ რა ხდება, მოხდა არსებითი რამ, მოხდა ეროვნული მოძრაობის რადიკალიზაცია თავიდანვე და ეს გადაიზარდა კონკურენციაში. რადიკალიზაცია ნიშნავს, რომ ერთმანეთს ეჯიბრებიან ლიდერები, ვიინ უფრო რადიკალურად იტყვის რაღაცას.მაგალიტად, ის სუკის აგენტია , ეს რუსები სისხლანი ჩექმებით რომ თელავენ ჩვენს მიწას დღესვე უნდა გაეთრიონ აქედან დაა.შ.“

ეროვნული მოძრაობის რადიკალიზაციის მიუხედავად, როგრც აღვნიშნე ქართული კომუნისტური ხელმძღვანელობა მათი პროტესტის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა და პრობლემის მოგვარებაშიც აქტიურად იყო ჩართული. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წვრმა თამარ ჩხეიძემ ჩემთან ინტერვიუში ასეთი განმარტება გააკეთა:

22: 56 „მაშინ პროტესტი თუ კი გაჩნდებოდა საზოგადოებაში, ხელისუფლების მხრიდან უფრო მოჰყვებოდა ხოლმე შედეგი, ვიდრე შემდგომ პერიოდში, როდესაც ეს პროტესტი გაუფასურდა.“

პროტესტის გაუფასურებას თავის კონკრეტული მიზეზი ჰქონდა და მომდევნო სტატიაში შემოგთავაზებთ, სადაც 1988 წლის 22-29 ნოემბრის პერმანენტული აქციების პერიპეტიებზე გიამბიბოთ, იქამდე კი იმ პირველი ეროვნული წინააღმდეგობის შესახებ განვაგრძობ თხრობას, რომლმაც საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება, ეროვნულ-პოლიტიკური ბანაკი, სტუდენტური მოძრაობა და სამეცნირო ინტელიგენცია ერთ მუშტად შეკრა. ეს გახლდათ ტრანსკავკასიური რკინიგზა, რომლის მშენებლობაც უკვე დაწყებული იყო. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზვიად გამსახურდია ამ პროექტს ბარბაროსულს უწოდებდა. მართლაც შედეგიანი აღმოჩნდა პირველი მასობრივი საპროტესტო ტალღა, რომელიც როგორც აღვნიშნე ტრანსაკვასიური რკინიგზის მშენებლობის გამო, ახლადფეხადგმულმული სტუდენტური მოძრაობისა და სამეცნიერო ინტელიგენციის ეგიდით აგორდა. ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალი საქართველოს ტერიტორიაზე, ხევსურეთიდან თბილისამდე უნდა გაშლილიყო, რომელიც ჩვენს ქვეყანას არა მხოლოდ ეკოლოგიურ კატასტროფას უქადდა, არამედ სამხედრო უსაფრთხოების მხრივაც სარისკო იყო. ეს გახლდათ პირველი ფართომასშტაბიანი საპროტესტო მოძრაობა კავკასიონის გულისა და ნასტაკისის ველზე არსებული უნიკალური არქეოლოგიური ძგლების გადასარჩენად.სწორედ ამ პერიოდში ჩნდება აქტიურ საზოგადოებრივ ასპარეზზე ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ფიქრია ჩიხრაძე, ამ საკითხთან დაკავშირებით მას 2010 წელს ინტერვიუ ჩამოვართვი (https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html „ისტორია“).

24 :20 „ტრანსკავკასიური რკინიგზა, სტუდენტთა ერთი ჯგუფისათვის, აღმოჩნდა ის მოვლენა, რომელშიც ჩვენ მოვახდინეთ ჩვენი თავისუფლებისათვის ბრძოლის მანიფესტაცია. ეს რკინიგზა ბევრ სხვა

პრობლემასთან ერთად, უკავშირდებოდა რუსიფიკაციის პრობლემას და ძალიან მტკივნეულად აღიქმებოდა საზოგადოებაში, თუმცა ვინც ამ პრობლემაზე ფუნდამენტურად მუშაობდა, იყო ვიწრო ჯგუფი. ამ პერიოდში ჩვენ მოგვიხდა ურთიერთობა ქართული საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვან სეგმენტთან, ანუ იმ ადამიანებთან, რომელნიც ყველაფერს უდგებოდნენ დიდი პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით."

აი ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა სტუდენტური მოძრაობის ლიდერს ქართული სამეცინერო ელიტის მიმართ, რომელიც ეროვნული მოძრაობის რადიკალიზაციის შემდეგ წითელ ინტელიგენციად იქცა. შევეცდები ქრონოლოგიურად მივყვე მოვლენებს, რომ მკითხველმა კარგად გააცნობირობიეროს როგორ მოხდა საქართველოში საზოგადოების პოლარიზება და ეროვნული მოძარობის რადიკალიზაცია. რასაკვირველია ამ თემაზე დეტალურად სასაუბროდ აკადემიკოს მარიამ ლორთქოფანიძეს მივმართე და ჩემს საარქივი მასალებს მასთან ინტერვიუც შემორჩა (https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html „ისტორია").

25: 08 „ჩვენ თავიდანვე ინფორმირებულნი ვიყავით, რომ ასეთი მაგისტრალის გაყვანას აპირებდნენ და მიგვაჩნდა, რომ ეს იყო კიდევ ერთი ტრასა და გზა საქართველოს დაღუპვისკენ მიმართული. რამდენიმე ადამიანი მივედით ჯუმბერ პატიაშვილთან, ველაპარაკეთ მას. პატიაშვილი ძალიან დინჯად და დაფიქრებულად მოიქცა. ერთ დღესაც შემოგვითვალეს: მობრძანდით ამა და ამ დაგილას, იქნება ავტობუსები, რომ გავიაროთ ეს გზა. რთული მდგომარეობა იყო იმ მხრივ, რომ ბევრი უჭრდა მხარს ამ რკინიგზის მშენებლობას. არამარტო მთავრობის, არამედ ინტელიგენციის წარმომადგენლები და ხევსურეთის მოსახლეობა."

ამ მოვლენებს ქრონოლოგიურად აცოცხლებს დოკუმენტური ფილმი „ნასტაკისიდან კორნამდე," რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივშია დაცული. ფლმის კადრებში ჩანს, რომ პროცესს ესწრებიან სახელისუფლებო წრეების, შემოქმედებითი დასამეცნიერო ელიტის წარმომაგენლები. სტუდენტური მოძრაობის ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე ასე იხსენებს ამ მვლენას

26:25 „ ავტობუსში კონსპირაციულად მოვხვდით მე და ჩემი მეგობარი. შემთხვევით გავიგეთ, რომ ასეთი რამ ხდებოდა, ერთ-ერთმა პროფესორმა გვითხრა. ამ პროცესს ესწრებოდა არაერთი ცეკას მდივანი, ინტელიგენციის და ხელისუფლების წარმომადგენლები. გამოვიარეთ ეს მარშრუტი თავიდან ბოლომდე, არქეოლოგიური ძეგლები, სადაც ნასტაკისის ველზე პრობლემა ექმნებოდა მათ. შემდეგ გზა ჟინვალის წყალსაცავთან ადიოდა და ძალიან სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემას ქმნიდა"

ბოლოს დელეგაციის წევრები გვირაბის იმ პორტალთან მივიდნენ, საიდანაც იწყებოდა კავკასიონის გულის გამოჭრა და თუ ჩვენ დღეს როკის გვირაბზე სხვადასხვა ინტერპრეტაციით ვსაუბრობთ, ამ პროექტით მივიღებდით ახალ გვირაბს და არავინ იცის რა დანიშნულება ექნებოდა მას. სტუდენტებისა და ინტელეიგენციის, არქეოლოგებისა და ისტორიკოსების არგუმენტირებული პრეტენზიების მიუხედავად, განსხვავებული აზრი ჰქონდა ხევსურეთის მოსახლეობას, რომელიც ტრანსკავკასიური

რკინიგზის მშენებლობაში საკუთარი ყოფის გაუმჯობესებისა და დასაქმების პერსპექტივას ხედავდა (https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html „ისტორია“).

ფრაგმენტი ფილმიდან „ნასტაკისიდან კორნამდე“ საუბრობს ადგილობრივი მკვიდრი.

28 :50 „ ჩვენი ახალგაზრდობა,ქალაქში წამოვიდა, სოფელი დაიცალა და ჩვენ რომ მოვკვდეთ დამმარხავი არავინ გვყავს, ამიტომ შეგვიწყვეთ ხელი, რკინიგზაც გაგვიყვანეთ, ხელც შეგვიწყვეთ რომ ახალგაზრდობა დაუბრუნდეს ხევსურეთს. ქალაქს რა გიხარიან თუ გლეხმა ხელი არ შეგიწყოთ.“

ადგილობრივი მოსახლეობისა და პროექტის მხრადამჭერთა პროტესტის მიუხედავად, ტრანკავკასიური რკინგზის მშენებლობა სტუდენტებისა და ინტელიგენციის ზეწოლით ზუსტად ერთ წელიწადში შეწყდა. საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულოყო და საეჭვო პროექტის განსახორციელებლად დაწყებული სამუშაოები სამუდამოდ შეეჩერებინა. ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ ჩემთან ინტერვიუში თქვა:

29:53 „მე მგონია რომ ამ პროტესტმა გარკვეული გავლენა მოახდიანა, თუმცა როდესაც შეაჩერეს მშენებლობა წავიდა ლაპარაკი: ვინ ეკითხებოდა ინტელიგენციას, რა მაგათი საქმე იყო, ან ვინ გაუწია ანგარიში, პროექტს აფინანსებდა ცენტრი და მოსკოვმა აღარ დააფინანსა. მოხდა ამ ყველაფრის გაბითურება.“

ამ გადასახედიდან გასაგებია, თუ რატომ გამოეთიშა ეროვნულ მოძრაობას ბევრი მეცნიერი, მათმატიკოსი თუ ფიზიკოსი. ტრანკავკასიური მაგსტრალის წინააღმდეგ ბრძოლა უახლეს ისტორიაში მართლაც იყო პირველი მცდელობა, საბჭოთა ხელისუფლება, ეროვნულ-პოლიტიკური ბანაკი, სტუდენტები და ინტელიგენცია ერთად დამდგარიყო ქვეყნის ეროვნული ინეტერსების დასაცავად და ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამინდის შესაქმნელად, რაც ჩვენს ქვეყანას იმპერიის ნანგრევებში მოხვედრას და ტერიტორიული მთლიანობის რღვევას ააცილებდა.

არანაკლებ ხმაურიანი იყო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენის მიზნით დაწყებული საპროტესტო მოძრაობა, რომელიც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, დავით-გარეჯის სამხედრო პოლიგონის გაუქმების მოთხოვნით დაიწყო. 80 - იან წლებში ამ ტერიტორიაზე საკავშირო სამხედრო პოლიგონი იყო განთავსებული. იქ მიმდინარე სამხედრო წვრთნები კი დავით გარეჯში არსებულ უნიკალურ ფრესკებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. გარეჯის ირგვლივ ატეხილი ხმაური ფართომასშტაბიანი სტუდენტური მოძრაობის დასაწყისად იქცა. ეს იყო პირველი ხმამაღალი და სახიფათო პროტესტი ქართველი ახალგაზრდების მხრიდან, რომელმაც საზოგადოების ყველა ფენის ყურადღება მიიპყრო. ჩემს პირად არქივში ამ საკითხზე საინტერესო მასალები მოიპოვება, რაც იმ პერიოდის ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოების ერთობაზე და მორალურ პოზიციაზე მეტყველებს, თუმცა უმჯობესია ამ საკითხზე მსჯელობა შემდეგი სტატიაში განვავრცო.

ეს ნაშრომი კი აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის საქრესტომათიო გამოსვლით მინდა დავასრულო. მან ეს სიტყვა 1988 წელს სამედიცინო ინსტიტუტში გამართულ შეხვედრაზე წარმოთქვა, სადაც დავით გარეჯის სამხედრო პოლიგონის საკითხზე მსჯელობდნენ (https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html „ისტორია“).

34 :44 „ჩვენ ბედნიერები ვართ იმით, კერძოდ ჩემი თაობა, რომ ჩვენ ცოცხლემბა მივაღწიეთ იმ დრომდე, როდესაც ასეთ ვითარებაში, აქეთ სტუდენტები, იქით მასწავლებლები, აქეთ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და მთავრობის წარმომადგენლები, გამოვდივართ და თავისულად ვლაპარაკობთ ჩვენს აზრს,(ტაშს გრიალი) ამას დაფასება უნდა, ცუდად ნუ გამოგებთ ამას დაფასება უნდა და გარკვეუწილად ზომიერების გრძნობაც საჭიროა. ითქვა უმაღლესი ტრიბუნებიდან და ჩვენც გავიმეორებთ: დემოკრატია დემოკრატიაა, მაგრამ დემოკრატიასაც სწავლა უნდა, რადგან ჩვენ არ ვართ მზად ჯერ დემოკრატიისთვის. ჩვენ სულ სხვანაირად გავიზარდეთ და ამ სიტყვასაც სულ სხვანაირად გიქადაგებდნენ რას ნიშნავდა. გასაგებია, რომ ჩემი თაობის და მომდევნო თაობის ადამიანებს იმდენი გამბედაობა და პირდაპირობაც არ გვაქვს რამდენიც ახალგაზრდებს, ჯერ ერთი ეს ასაკობრივი ამბავიც არის, მეორე გასათვალსწინებელი ისიც არის თუ რა პირობებში გავიზარდეთ ჩვენ და რა პირობებში იზრდებიან ისისნი.“

მიუხედავად ამისა, აკადემიკოსი მარიამ ლორქოფანიძე ის ადამიანი აღმოჩნდა, როელმაც დავით გარეჯის საიდუმლო სამხედრო მიწისქვეშა ობიექტები უშიშრად მოინახულა. ამ მოვლენების შესახებ თხრობას მომდევნო სტატიაში განვავრცობ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

https://www.youtube.com/watch?v=ZqxQIHmvtEQ
https://old.1tv.ge/ge/videos/view/339/66.html